

◆

სურათზე: კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი ფიდელ კასტრო რუსი და სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი

◆

30 აპრილი
სამშაბათი,
1963 წ.
№ 85 (2190)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

მეგობრულ და გულითად ვითარებაში

28 აპრილს, დღისით მოსკოვში ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი. კუბელი ხალხის გმირი სსრ კავშირში ჩამოვიდა მეგობრული ვიზიტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროპორტში ამხანაგ კასტროს შეხვდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი, კუბის ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი, პრესის წარმომადგენლები. ამავე თვითმფრინავით მოსკოვს დაბრუნდა ამხანაგი ა. ი. მიქოიანი, რომელიც შეხვდა ფიდელ კასტროს მურმანსკში.

ერთი მანქანით, მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ფიდელ კასტრო, ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვისაკენ წავიდნენ. მათ გაჰყვა სხვა მანქანები.

ავტომობილების საზეიმო კოლონა, მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით მიემართება კიევის გზატკეცილით. ფიდელ კასტრო და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ფეხზე ამდგარი უპასუხებენ ძვირფასი სტუმრების შესახვედრად შეკრებილ ათასობით მოსკოველთა მისალმებას.

„ვივა კუბა!“, „ვივა ფიდელ!“, „ჩვენ შენთან ვართ, გმირო კუბავ!“, „ჩვენ თქვენთან ვართ, კუბელო ძმებო!“. ეს სიტყვები წარწერილია უზარმაზარ ქსოვილებზე, ხელით დაწერილ პატარა პლაკატებზე. ისინი მოაქვთ ფიდელისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტებთან ერთად, ცოცხალ ყვავილთა თაიგულებთან ერთად.

გამოჩნდა კრემლის ქონგურებიანი კედლები, მაცხოვრის კარი. აქ შეიკრიბა ათასობით ადამიანი, რათა ღირსეული შეხვედრა მოუწყონ ძვირფას სტუმრებს. ავტომობილების კორტეჟი გაჩერდა, ფიდელ კასტრო, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი გადმოდიან მანქანიდან.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი მავზოლეუმის საფეხურებით ჩადიან დარბაზში, სადაც სარკოფაგში განისვენებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. კუბელი ხალხის შესანიშნავი შვილი რამდენიმე წუთს დგას სარკოფაგთან, დაჰყურებს ლენინის ნაკვთებს, ასეთ ნაცნობ, მახლობელ მშობლიურ ნაკვთებს. მდუმარედ დგას სარკოფაგთან მშვიდობისათვის ორი მებრძოლი — ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი, ორი ადამიანი, რომლებსაც „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატობის წოდება მიენიჭათ. წითელ მოედანზე შეკრებილი ათეულ ათასობით ადამიანი მოუთმენლად ელის ძვირფასი სტუმრის გამოჩენას და აი, მავზოლეუმიდან წითელ მოედანზე გამოდიან კუბელი სტუმრები და საბჭოთა ხელმძღვანელები. ნ. ს. ხრუშჩოვმა წარუდგინა ფიდელ კასტრო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, ცნობილ მხედართმთავრებს. ტაშის გრიალში, მისალმების შეძახილებში მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი, კუბელი სტუმრები, საბჭოთა ხელმძღვანელები. კუბელ მეგობრებთან და საბჭოთა ხელმძღვანელებთან მიირბინეს პატარა მოსკოველებმა — პიონერებმა. ტაშის გრიალსა და შეძახილებს უერთდება უჩვეულო ხმები. ეს არის კუბის ეროვნულ ინსტრუმენტთა ხმა, რომლებითაც მოვიდნენ მოედანზე გმირი კუბის ქალიშვილები და ჭაბუკები — მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი სიტყვით მიმართავს ფიდელ კასტროს, კუბელ მეგობრებს, ყველა დამსწრეს. შემდეგ სიტყვას ამბობს ამხანაგი ფიდელ კასტრო.

მიტინგი დამთავრდა. ნათელი, დაუვიწყარია ეს შეხვედრა წითელ მოედანზე. მან მთელი ძალით ცხადყო, რომ კუბელი ხალხი და საბჭოთა ხალხი ძმები არიან, რომ ფიდელ კასტროს ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ძმურ მეგობრობას. იგი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

საწვრთნელი მატჩი

28 აპრილს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრები და ოლიმპიური გუნდი. მოწინააღმდეგეები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: პირველ ნაკრებში იყვნენ იაშინი, დუბინსკი, რიაბოვი, ჩოხელი, კრუტიკოვი, ლოგოფეტი, დიკარევი, მანოშინი, ზაიცევი, ნოვი, მეტრეველი, ჩისლენკო, პონედელნიკი, მესხი, ჰუსაინოვი. ოლიმპიურ გუნდში ითამაშეს ბაუჟამ, გლუხოტკომ, სემიგლაზოვმა, ტურიანჩიკმა, შესტერნევმა, დანილოვმა, საბომ, კოროლენკოვმა, ბიბამ, ფადეევმა, სერებრიანიკოვმა, სევიდოვმა, ლობანოვსკიმ და ბაზილევიჩმა. ორივე გუნდი ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს თამაშის მსვლელობაში.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა მეტრეველმა, რის შემდეგ პონედელნიკმა მეორედ აიძულა ოლიმპიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 2:0. მალე სერებრიანიკოვმა შეძლო ერთი გოლის გაქვითვა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მესხმა გაიტანა მესამე ბურთი. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა.

უკანასკნელ საათს!



გუშინ მოსკოვის ესტრადის თეატრის დარბაზში გათამაშდა მე-15 პარტია ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკსა და ტ. პეტროსიანს შორის.

თეთრებით თამაშობდა ტ. პეტროსიანი. მეტოქეებმა ამ ტურში გაითამაშეს გრიუნფელდის დაცვა.

პარტია არ დამთავრებულა და გადაიდო. ბოტვინიკმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

პრეტენდენტს გადადებულ პარტიაში პოზიციური უპირატესობა აქვს.

კ უ ბ ა - ა შ შ

სან-პაულოში (ბრაზილია), სადაც ახლა მიმდინარეობს პანამერიკული თამაშები, კუბის ეროვნულმა ნაკრებმა მეორედ დაამარცხა აშშ-ის ბეისბოლისტები — 13:1.

კუბელები განაგრძობენ ბრძოლას საპრიზო ადგილისათვის.

„დინამო“ (ბათუმი) - „სპარტაკი“ (ბრესტი) — 2:1

მატჩი საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის დასაწყისიდანვე საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. უკვე პირველ წუთზე სტუმრების ფორვარდებმა სწრაფი შეტევა განავითარეს და დინამოელთა კარი ძელმა იხსნა გოლისაგან, რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთივე სახიფათო მომენტი შეიქმნა „სპარტაკის“ კართან, მაგრამ მეკარემ შეძლო პატარაიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის მოგერიება.

მე-16 წუთზე სპარტაკელთა ორი თავდამსხმელი სწრაფად გაიჭრა მასპინძელთა კართან საჯარიმო მოედანზე და მხოლოდ მეკარე კვაჭაძის დროულად გამოსვლამ უვნებელჰყო ეს სახიფათო შეტევა.

22-ე წუთზე შეტევაზე იმყოფებოდნენ დინამოელები. „სპარტაკის“ ერთ-ერთი მცველი ხელით შეეხო ბურთს თავისი კარის სიახლოვეს, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. პენალტი ზუსტად გამოიყენა პატარაიამ — 1:0. გაშვებული გოლის შემდეგ ბრესტის ფეხბურთელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაში და ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ჩარნოვსკიმ კარგად ისარგებლა მოწინააღმდეგის დაცვაში დაშვებული შეცდომით — 1:1.

მეორე ტაიმში ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა, მაგრამ თამაში ხშირად უხეშობაშიც გადადიოდა. სტუმართა მხარეს რამდენიმეჯერ დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ერთ-ერთი ასეთი დარტყმა კარგად გაითამაშა პატარაიამ. მან გააკეთა ცრუ მოძრაობა, გაუგორა ბურთი სწრაფად წინ გამოსულ ნახევარმცველ დიმანოვს და ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი გოლი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ“.

ვ. მოსეშვილი

* * *

სამარყანდი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და თბილისის „ლოკომოტივი“.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:1.

ჩიმკენტი. მორიგი ქულა აიღეს ფოთის „კოლხიდის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ჩიმკენტში თამაშობდნენ ადგილობრივ „მეტალურგთან“.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

კორესპონდენტები გვატყობინებენ

სიღნაღი

„კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ ამ დღეებში ზემო ქედში მოაწყო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ასპარეზობა ჩატარდა 9 წონით კატეგორიაში. პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავეს მ. მაძღარაშვილმა (ზემო მაჩხაანი), გ. ჩოხელმა (ზემო ქედი), შ. ბენაშვილმა, ს. რეხვიაშვილმა (ორივე ზემო მაჩხაანიდან), დ. კარატიელმა (ქვემო ქედი), მ. ზაქაიძემ (ზემო ქედი), ი. ნათეთრელაშვილმა (ქვემო ქედი), რ. პეტრიაშვილმა (ზემო ქედი). მეორე საშუალო წონაში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს გ. მელიქიშვილმა (ზემო ქედი) და გ. გავაშელმა (ზემო მაჩხაანი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ზემო მაჩხაანის გუნდმა.

* * *

ქვემო მაჩხაანის კულტურის სახლში მოეწყო ჭაბუკთა შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. აქ გამარჯვება მოიპოვეს მ. მაძღარაშვილმა, გ. ალხნიშვილმა, ფ. ბენაშვილმა, ე. ბოლაშვილმა, უ. გავაშელმა, ა. ქერაშვილმა, ო. ჯიყაშვილმა, გ. ტოკლიკიშვილმა. გუნდურ ჩათვლაში აქაც ზემო მაჩხაანის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

ნ. მღებრიევა

★

ბათუმი

ბათუმის პიონერთა პარკში მოეწყო მოსწავლეთა შეჯიბრება ველოსპორტში. პირად ჩათვლაში ჭაბუკთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მე-20 სკოლის მე-9 კლასელმა ნ. ლურციოლლიმ. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მე-20 სკოლის სპორტსმენები.

პ. კებაბჩიანი



მომავალი დიდი სტარტებისათვის ენერგიულად ემზადება რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. შავლაყაძე. სამზადისს მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია — შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია და არა მარტო ვარჯიშებზე, არამედ შეჯიბრებებზეც ადვილად ძლევს 205-210 სმ სიმაღლეს.

სურათზე: რ. შავლაყაძე ძლევს სიმაღლეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი კლასიფიკაცია

მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის უკანასკნელმა კონგრესმა, რომელიც პრაღის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩატარდა, დაამტკიცა მაგიდის ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო სია 1963-1965 წლებისათვის. აი როგორ განაწილდნენ ქვეყნები: **ვაჟები:** — I კატეგორია — 1. ჩინეთი, 2. იაპონია, 3-4. გფრ და შვეცია, 5. იუგოსლავია, 6. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, 7. უნგრეთი, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. რუმინეთი, 10. აშშ, 11. გდრ; II კატეგორია — „ა" ჯგუფი — ინგლისი, ირანი, სამხრეთ კორეა, საბჭოთა კავშირი; „ბ" ჯგუფი — ავსტრია, ინდოეთი, პოლონეთი, პორტუგალია; „გ" ჯგუფი — ავსტრალია, ბრაზილია, ბულგარეთი, დანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, სამხ. ვიეტნამი; III კატეგორია — „ა" ჯგუფი — ფინეთი, ისრაელი, შვეიცარია.

ქალები — I კატეგორია — 1. იაპონია, 2. რუმინეთი, 3. ჩინეთი, 4. უნგრეთი, 5-6. ინგლისი და გფრ, 7. პოლონეთი, 8-9. ჩეხოსლოვაკია და გდრ; II კატეგორია—„ა" ჯგუფი — ავსტრალია, ბულგარეთი, სამხ. კორეა, შვეცია, საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია; „ბ" ჯგუფი — საფრანგეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ახალი ზელანდია, პორტუგალია; III კატეგორია — „ა" ჯგუფი — ავსტრია, ბელგია, ინდონეზია, ჰოლანდია.

ოთხი თვის „მოღვაწეობის" შედეგი

ფაბრიკაში, რომელსაც ყოფილი ფეხბურთელი სერგო ნინუა ხელმძღვანელობდა, ერთ მშვენიერ დღეს „აორთქლდა" ბამბის საპენტი 6 დაზგა (?!). ს. ნინუა რა შუაშია, ასეთი კაცის „გაფუჭება" როგორ იქნებაო, გადაწყვიტეს ქუთაისის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანა სცადეს. მაგრამ სად? კაცი, რომელმაც თავის წარმოებაში 6 დაზგის გაქრობა „ვერ შეამჩნია", სად გამოდგებოდა? ბევრი იფიქრეს, ბევრი იმსჯელეს და ბოლოს მოაგონდათ, რომ ს. ნინუა ოდესღაც ფეხბურთელი იყო და ამიტომ მისი ქუთაისის სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დანიშვნა გადაწყვიტეს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და ქუთაისის ცენტრალური სტადიონის დირექტორად დანიშნეს.

მოევლინა სტადიონს ახალი პატრონი და რიხიანად განაცხადა:

— არავითარი დაქვემდებარება, მორჩილება. ქალაქის სპორტკავშირი რას მიქვია. მე მყავს უფროსები და ანგარიშსაც მათ ჩავაბარებ. როცა დირექტორს შეახსენეს, რომ სტადიონი ქუთაისის სპორტკავშირს ექვემდებარება და ამიტომ შენც მისი თანამშრომელი ხარო, მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ჩადგა ს. ნინუა სტადიონის კარებში და ყველას ფეხი ამოუკვეთა იქ.

სადამდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? რესპუბლიკის სპორტკავშირში ცნობილი გახდა, რომ სტადიონზე ყველაფერი რიგზე არაა, არ სალდება მატჩებზე დასასწრები აბონემენტები. დახმარებისათვის და ფეხბურთის სეზონის მზადებასთან დაკავშირებული ამბების შესასწავლად რესპუბლიკის სპორტკავშირმა ქუთაისში მიავლინა სპეციალური კომისია. მაგრამ ს. ნინუამ ყველას ცივი წყალი გადაასხა: მე არავითარი დახმარება არა მჭირდება, აბონემენტებსაც გავავრცელებ და სტადიონზეც იდეალური წესრიგი მექნებაო. ამის შემდეგ დირექტორთან ქუთაისის სპორტკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ. ესებუა მიავლინეს, შინაური კაცია, იქნებ მას დაუჯეროსო, მაგრამ ს. ნინუამ არც შინაური კაცი დაინდო, არავითარი ცნობა არ მისცა, კარგად გამოლანძღა და ისე გამოისტუმრა. ს. ნინუას ერთხელ კიდევ განუმარტეს, რომ არის დადგენილება, რომელიც მოითხოვს სპორტკავშირისაგან სასტიკ კონტროლს უფასო შესასვლელი ბილეთების გაცემაზე და საერთოდ სტადიონების საფინანსო მდგომარეობაზე.

არაფერმა არ გაჭრა. დირექტორმა მაინც არავინ გაიკარა.

მაშინ რესპუბლიკის სპორტკავშირიდან ქუთაისში ჩავიდა სპეციალური კომისია მდგომარეობის შესასწავლად. ს. ნინუამ კომისიის წევრები უხეშად მიიღო და ერთმათგან ქალს მოკლედ მოუჭრა: შენი ადგილი აქ არ არის, კაცების საქმეში ნუ ერევიო. დანარჩენთა მიმართ დირექტორი ბოლოს მოლბა და განუცხადა: ამ საღამოს სახლში პურ-მარილი მაქვს, იქ მეწვიეთ და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემაც გამიადვილდებაო.

კომისიის წევრები, რა თქმა უნდა, სტადიონზე დარჩნენ და არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრა გადაწყვიტეს.

კი, მაგრამ, რას ერჩიან ნინუას? რისი გაკეთება მოასწრო მან ამ ოთხ თვეში? დაინტერესდება მკითხველი.

ს. ნინუამ სტადიონზე მისვლისთანავე განაცხადა: ყველაფერი ფეხბურთისათვის! და უმალ დაიწყო ნათქვამის ცხოვრებაში გატარება. ჯერ სახტომი ორმო ამოავსო ბელტებით, შემდეგ სატყორცნი წრე გააუქმა, სარბენ ბილიკზე დამატებითი სკამები დადგა, ძვირადღირებული ინვენტარი — სატყორცნი შუბები დაჭრა და დროშის ტარებად გამოიყენა და ბოლოს სტადიონის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მძლეოსნობაში ნ. ჭეიშვილი სტადიონზე არ შეუშვა.

თვითდაჯერებული, მაგრამ უთავბოლო მუშაობით, დირექციამ ვერ მოახერხა 6.345 აბონემენტისა და ამ აბონემენტებზე დარჩენილი ბილეთების რეალიზება. ამის შედეგად სტადიონმა მიმდინარე წლის პირველი მატჩიდან 3.071 მანეთი და 50 კაპიკი ზარალი ნახა. ნინუამ დიდი ნიჭი გამოიჩინა და ამ ზარალის დასაფარავად 12.500 შესასვლელი ბილეთი გაყიდა (რის უფლებაც არა ჰქონდა). არც ერთი გაუყიდავი ადგილი თავისუფალი არ იყო, ხოლო შესასვლელი ბილეთებიანი მაყურებელი ტრიბუნებზე რომ ვერ დაეტია, სარბენ ბილიკზე გადმოვიდა. ადგილობრივი მილიციის მუშაკებისა და რაზმელების დახმარებით ძლივს მოხერხდა მათი შეკავება.

მომდევნო ორ მატჩზეც არ ყოფილა აბონემენტები მთლიანად რეალიზებული. 5 აპრილს ქუთაისისა და მოსკოვის ტორპედოელთა შეხვედრაზე გაუყიდავი დარჩა 339 ბილეთი, ხოლო ლენინგრადის „ზენიტთან" შეხვედრისას — 90 ბილეთი. საკვირველია, უბილეთო მაყურებლების ალყაშია ქუთაისის სტადიონი ფეხბურთში საკავშირო პირველობის მატჩების მიმდინარეობისას, სალაროში კი ბილეთები გაუყიდავია!

მაგრამ მთავარი სხვაა. საექსპლოატაციო სქემის დამატებით დირექტორმა თვითნებურად სტადიონის დასაჯდომი ადგილები 314 ერთეულით გაზარდა, აქედან 104 დანიშნულებისამებრ გაანაწილა, ხოლო დანარჩენი ჰაერშია ჩამოკიდული. არც ნინუა იძლევა პასუხს, თუ ვისზეა გაცემული ისინი და არსად არავითარი კვალი არა ჩანს. ასეთია ს. ნინუას ხანმოკლე მოღვაწეობის შედეგი ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის სტადიონს უნდა ჰყავდეს მაღალკულტურული, საერთოდ სპორტის გულშემატკივარი (და არა მარტო ფეხბურთის), უანგარო და საქმის ორგანიზატორი დირექტორი. ასეთ ნიშნებს მოკლებულია ს. ნინუა, ამიტომ პრეზიდიუმმა გადააყენა იგი თანამდებობიდან და დასახა სტადიონის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

ა. დათუნაშვილი

შვიდ სახეობაში

რუსთავის საგლინავი საამქროს ფიზკულტურული კოლექტივისა და კომკავშირის კომიტეტის (მდივანი დ. ბაკურაძე) ინიციატივით ჩატარდა საამქროს I სპარტაკიადა სპორტის 7 სახეობაში — ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიით სროლაში. სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებდა 450 სპორტსმენი. გუნდები ჩამოყალიბებული იყო ცვლების მიხედვით და თვითეულ სახეობაში 5–5 კოლექტივი იღებდა მონაწილეობას.

საამქროს I სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა დღისით მომუშავე ბრიგადამ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მაგიდის ჩოგბურთში და ტყვიით სროლაში, ხოლო მეორე ადგილი — კალათბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

რ. ბაბრიჭიძე

მავნე პრაქტიკა

ამას წინათ გაიმართა განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის სპარტაკიადა. სხვებთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობის, ტოპოგრაფიული, საბჭოთა ვაჭრობისა და სხვა ტექნიკუმების გუნდები, რომლებმაც შექმნეს მეორე ჯგუფი.

ამ ჯგუფში საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივი, ხოლო მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ტოპოგრაფიული და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდები.

ამ წერილის მიზანს მარტო სპარტაკიადის ტექნიკური შედეგების გადმოცემა არ შეადგენს. ძირითადი ყურადღება ჩვენ გვინდა გავამახვილოთ უდისციპლინობისა და თვალისახვევის იმ ფაქტებზე, რასაც ადგილი ჰქონდა შეჯიბრებათა მსვლელობაში. კერძოდ, თვალისახვევის გზას დაადგა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ფ. ყარალაშვილი. მისი თაოსნობით ტექნიკუმის კალათბურთელ ქალთა გუნდი ისე შედგა, რომ მის შემადგენლობაში თამაშობდა ამ ტექნიკუმის მხოლოდ ერთი მოსწავლე, დანარჩენ ექვსს კი აღნიშნულ სასწავლებელთან არავითარი კავშირი არა აქვს — ისინი თბილისის სხვადასხვა სკოლებში სწავლობენ.

მაგალითისათვის რამდენიმე ფაქტიც საკმარისი იქნება. მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდში მე-7 ნომრით თამაშობდა ვინმე ნ. მიკირტუმოვა, რომელიც სინამდვილეში თბილისის 27-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეა, გარდა ამისა, ლ. ლაფერაშვილი თბილისის 116-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეა და არა აღნიშნული ტექნიკუმისა.

განაცხადი, რომელშიც აღნიშნული სპორტსმენები იყვნენ შეტანილი, დამოწმებულია ტექნიკუმის დირექტორის და ფიზსაბჭოს თავმჯდომარის ბ. კრასლავსკისა და გუნდის წარმომადგენელ ა. ვაჩაძის მიერ. დავუშვათ, ტექნიკუმის დირექტორი და ფიზსაბჭოს თავმჯდომარე კარგად არ იცნობენ თავიანთ მოსწავლე სპორტსმენებს, რაც ერთობ საეჭვოა და ისინი შეცდომაში შეიყვანა ფ. ყარალაშვილმა, მაგრამ რას იტყვის ა. ვაჩაძე? განა შეიძლება გუნდს წარმომადგენლობდე შეჯიბრებაზე და არ იცნობდე თვითეულ სპორტსმენს?

* * * *

რედაქციისაგან: ფ. ყარალაშვილის საქციელი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში თვალისახვევის, სპორტსმენთა გადაბირებისა და მოსყიდვის მავნე პრაქტიკა. ახლა თბილისში მიმდინარეობს დედაქალაქის სპარტაკიადა და თითქმის ყველა სახეობაში შეიმჩნევა ასეთი ფაქტი: განთიადელი „განთიადის" წინააღმდეგ გამოდის, „ბურევესტნიკის" სპორტსმენები ყველა საზოგადოებას ჰყავს ჩამორიგებული ან გადაბირებული და ა. შ. ჩანს, სპარტაკიადის სამანდატო კომისიას ზერელედ უმუშავია.

ვფიქრობთ, ეს საკითხი დაუყოვნებლივ გახდება შემდგომი ფიზკულტურული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი და დამნაშავეებს სათანადოდ მიეზღებათ.

დედაქალაქის სპარტაკიადა

ცურვა

ბრძოლაში ჩაებნენ მოცურავენი. ქალთა შორის უმოკლეს დისტანციაზე, 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა დინამოელმა ლ. ბერძენიშვილმა — 1.12,0. განთიადელმა ა. მაქსიმცევამ მესამე ადგილი მოიპოვა და პირველად შეასრულა პირველი თანრიგი — 1.13,6. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ი. ბინიუკოვი („დინამო“) — 1.00,1. ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა გოგონათა შორის ე. ლიბრაძემ ადვილად დაამარცხა მოწინააღმდეგეები 100 მ ბატერფლაით ცურვაში — 1.19,6, ვაჟებში ამავე სტილით 200 მეტრზე გამარჯვებულმა მ. უმერენკომ (2.35,1) გააუმჯობესა „შრ. რეზერვების“ რესპუბლიკური რეკორდი. ზურგზე ცურვა 100 მეტრზე ქალთა შორის მოიგო ნ. ჭუმბაძემ, ვაჟთა შორის 200-მეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო ბ. კამენსკი.

დინამოელთა უპირატესობით აღინიშნა ბრასით ცურვა 200 მეტრზე ვაჟთა და ქალთათვის. გაიმარჯვეს ი. ფუნიკოვმა — 2.41,4 (ოსტატის შედეგზე უკეთესი) და ლ. კრილოვამ. მათ თანაგუნდელ ი. ამნიაშვილს დარჩა გამარჯვება ქალთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, კომპლექსური ცურვა (400 მ) მოიგო ი. ჩუგუევსკაიამ („დინამო“), ვაჟთა შორის კომპლექსურ ცურვაში ამავე მანძილზე პირველი იყო გ. კარბუკოვი. მეორე ადგილზე გამოსულმა ა. იოაკიმიდიმ აჩვენა 5.44,0 და გააუმჯობესა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი.

თბილისის საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გრძელდება შეჯიბრებანი თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში. ეს სურათებიც სპარტაკიადის ზოგიერთ ამბებზე მოგვითხრობენ. **ზევით მარცხენა სურათზე** აღბეჭდილია თავისუფალი მოჭიდავეების — ი. ქობულაშვილისა და დ. დავლიანიძის შეხვედრის მომენტი. **მარჯვნივ** — სიმაღლეზე ხტება ლ. პატარიძე. **ქვედა სურათი** გადაღებულია მაშინ, როცა სპარტაკიადის ჩემპიონი, სპარტაკელი ლ. დარახველიძე ასრულებდა მორიგ ცდას სამხტომში.

ფოტო ი. ეგნატაშვილისა და მ. ზარგარიანისა.

კალათბურთი

დამთავრდა კალათბურთელთა ტურნირი. თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა კოლექტივს ტოლი არ ჰყავდა. მან უკანასკნელი შეხვედრა „დინამოს“ კალათბურთელებთან დიდი აღმავლობით ჩაატარა და გაიმარჯვა — 60:45. ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა კოლექტივმა შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და თბილისის სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილი მიეკუთვნა „დინამოს“ გუნდს, რომელმაც უკანასკნელ შეხვედრაში სძლია „სპარტაკის“ ნაკრებს — 44:33. მესამე საპრიზო ადგილი დარჩა „შრომითი რეზერვების“ ნაკრებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა — თბილისის „დინამოს“ ვაჟთა კოლექტივმა დაამარცხა რა „ბურევესტნიკის“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდი — 69:66, გაინაღდა პირველი ადგილი. ეს მატჩი მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. დინამოელთა რიგებში არ იყვნენ ა. ლექავა, გ. მინაშვილი და ვ. უგრეხელიძე. მატჩის პირველი ნახევარი დინამოელთა მარცხით დამთავრდა — 30:34. მეორე ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა და დაძაბული ასპარეზობა დინამოელთა სასარგებლოდ დასრულდა — 69:66. დინამოელებს უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ რკინიგზელებთან. ეს მატჩიც მოიგეს — 70:54. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივები.

სასტენდო სროლა

„მონკავშირის“ სტენდზე გაიმართა მესტენდურეთა შეჯიბრება. ტურნირი გახსნეს ადგილიდან მსროლელებმა, რომლებიც გუნდური გამარჯვებისათვის იბრძოდნენ. თვითეულ კოლექტივს (არმიელთა სპორტულ კლუბს, „სპარტაკს“, „განთიადს“, „ბურევესტნიკს“, „ლოკომოტივს“) გამოჰყავდათ 4-4 სპორტსმენი, ხოლო ჩათვლაში I თანრიგის მაჩვენებელი შედიოდა. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ არმიელები, რომელთა ოთხივე მონაწილემ შეძლო ჩასათვლელი ნორმატივების შესრულება, ხოლო სპარტაკელებმა და „ბურევესტნიკმა“ ვერ შეძლეს შესაბამისად 1 და 2 ჩათვლა. პირად ჩათვლაში დაწინაურდა სპარტაკელი ზ. მაჩხანელი — 98 ქულა. მეორე ადგილზე მყოფი ი. საგანელიძე („ბურევესტნიკი“) მას 4 ქულით ჩამორჩა. არმიელმა ვ. კონდრაცკიმ და ლოკომოტიველმა მ. კუროჩკინმა 91 ქულა მოაგროვეს თვითეულმა.

მეორე დღეს ადგილიდან სროლაში პირად ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგი (96 ქულა) აჩვენა შ. ჩახნაშვილმა („ბურევესტნიკი“), ხოლო ზ. მაჩხანელმა და ვ. ჯაბახიძემ — 92 თვითეულმა. სამაგიეროდ, გუნდურ ჩათვლაში უპირატესობა შეინარჩუნეს არმიელებმა, რომლებმაც 727 ქულა მოაგროვეს და 9 ქულით გაუსწრეს „სპარტაკის“ კოლექტივს.

არმიელ მესტენდურეთა უპირატესობა აშკარა იყო მრგვალ სტენდზე სროლაშიც. მართალია, ორი სერიის შემდეგ დაწინაურდა სპარტაკელი ე. ძიძიგური, რომელმაც 50-დან, მხოლოდ 2 სამიზნეს ესროლა ამაოდ და 2 ქულით გაუსწრო არმიელ ბ. ანტონოვს, მაგრამ შემდეგში უკეთესად გამოვიდა ანტონოვი და 96 ქულით სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. სპარტაკელებს მხოლოდ ორმა სპორტსმენმა — ე. ძიძიგურმა და ტ. ქლენტმა (ამ უკანასკნელმა შეასრულა ოსტატის ნორმა) მისცეს ჩათვლა, არმიელებს კი —ოთხივე მონაწილემ. ამრიგად, საერთო გუნდური პირველობა დარჩათ არმიელებს, მეორეზეა „სპარტაკი“, მესამეზე — „ლოკომოტივი“.

მძლეოსნობა

თბილისის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე დიდი ინტერესი გამოიწვია მწვრთნელისა და აღსაზრდელის — ოლიმპიური ჩემპიონის რ. შავლაყაძის („დინამო“), და თ. მდივნის („ბურევესტნიკი“) ორთაბრძოლამ.

წვიმიანი ამინდი, დაბრკოლებული ბილიკი სპორტსმენებს საგრძნობლად უძნელებდა ხტომას. 195 სმ-ს დაძლევის შემდეგ ბრძოლა შეწყვიტა კონკურსგარეშე მონაწილე ოსტატმა რ. ამბარიანმა (არმიელთა სპორტული კლუბი). 2 მ გადალახა თ. მდივანმა. როცა თამასა დადეს 205 სმ სიმაღლეზე, რომელიც ოლიმპიური ნაკრების საკანდიდატო ნორმატივია, რ. შავლაყაძე გულდასმით არიგებდა „მოწინააღმდეგეს“, მაგრამ სიმაღლე დაუძლეველი დარჩა. რაც შეეხება თვით ოლიმპიურ ჩემპიონს, მან ეს სიმაღლე პირველივე ცდით აიღო და ასევე დაძლია 210 სმ სიმაღლეც პირველ ცდაზე. ეს ჩემპიონის სერიოზული განაცხადია ტოკიოში წამსვლელ საკავშირო ნაკრების კანდიდატობაზე.

თამასა კიდევ 5 სანტიმეტრით ასწიეს. ოლიმპიური ჩემპიონი მანამდეც უკმაყოფილო იყო გამოსარბენი ბილიკის, განსაკუთრებით არეკნის არის უხარისხობით, მაგრამ მაინც ცადა ძალები და სულ ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ ეს სიმაღლე სპორტსმენისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაუძლეველი აღმოჩნდა.

ოლიმპიური ნაკრების საკანდიდატო ნორმატივამდე 1 მ 16 სმ დააკლდა ბადროს მტყორცნელ გ. გუდაშვილს („დინამო“), რომელმაც კარგი შედეგით — 52 მ 84 სმ პირველი ადგილი მოიპოვა. პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი აჩვენა მეორე პრიზიორმა ო. ზუხბაიამაც („ბურევესტნიკი“) — 47 მ 27 სმ.

შეჯიბრების პირველ დღეს ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია სამხტომში გამარჯვებულ ლ. დარახველიძის („სპარტაკი“) შედეგი — 15.57 მ, თუმცა მომდევნო ადგილებიც მის თანაგუნდელებს ვ. სკიბასა (14.41) და ვ. ჩხეიძეს (14.40) დარჩათ, მაგრამ მეორე თანრიგის შედეგებით. ქალთა შორის მხოლოდ ლ. პატარიძემ („ბურევესტნიკი“) და ი. მხეიძემ („დინამო“) შეძლეს I თანრიგის შედეგით გამარჯვების მოპოვება. პირველმა სიმაღლეზე ხტომაში — 155 სმ, მეორემ — ბადროს ტყორცნაში — 44.26 მ.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ვაჟთა რბენა 100 მეტრზე. სპარტაკელი ე. ლომთაძე ავად იყო, მაგრამ გუნდის ინტერესებისათვის მაინც გამოვიდა ბილიკზე, თუმცა ვერ შეძლო ჩვეული ტემპით ებრძოლა. გაიმარჯვა ა. ბედუკაძემ („დინამო“) — 10,9, ლომთაძე მეორე იყო — 11,0. სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალთა შორის 100 მ რბენაში — ბ. ბურლაკოვამ („ბურევესტნიკი“) — 12,5, 80 მ თარჯრბენში ლ. იევლევამ („ბურევესტ.“) — 11,6, ესტაფეტაში 4×100 მ — „ბურევესტნიკმა“ — 50,6. ვაჟთა შორის 400 მ რბენა მოიგო ტ. ბახტაძემ („ლოკომოტივი“) — 50,7, ესტაფეტა 4×100 მ — „დინამომ“ — 44,7. ამ დღის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქალთა 800 მ და ვაჟთა 10.000 მ რბენაში არ გამართულა, რადგან მონაწილეთაგან ვერავინ შეძლო სპორტსმენთა გამოყვანა.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ „დიხამოს“, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ გუნდები.

ჭადრაკი

მოჭადრაკეთა სპარტაკიადის დასკვნით, V ტურში „სპარტაკმა“ დაამარცხა „განთიადი“ — 4,5:3,5. აღსანიშნავია გურგენიძის გამარჯვება ბლაგიძესთან და კალატოზიშვილისა — ოსტატ ბუსლაევთან. „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“ მატჩი ყაიმით (4:4) დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ „ბურევესტნიკის“ ერთი მოჭადრაკე არ გამოცხადდა თამაშზე. აქ აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება ივანოვასთან და დინამოელ დავითაშვილისა — ოსტატობის კანდიდატ ჯანოევთან.

ამრიგად, დამთავრდა მოჭადრაკეთა სპარტაკიადა. ტურნირში გუნდები ასე განაწილდნენ: „სპარტაკი“ — 22 ქულა, „დინამო“ — 18,5 ქულა, „ბურევესტნიკი“ — 17,5 ქულა, „განთიადი“ — 17 ქულა, „ლოკომოტივი“ — 5 ქულა.

დაფების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: პირველზე — ბ. გურგენიძემ („სპარტაკი“) — 3,5 ქულა, მეორეზე — გ. კალატოზიშვილმა—(„განთიადი“) და რ. დავითაშვილმა („დინამო“) — 3 ქულა თვითეულს, მესამეზე — ა. წერეთელმა („განთიადი“) — 3 ქულა, მეოთხეზე — ე. მიქაელიანმა („სპარტაკი“) — 3 ქულა, მეხუთეზე — რ. ჯინჯიხაშვილმა („ბურევესტნიკი“)—3,5 ქულა, მეექვსეზე — ნ. გაფრინდაშვილმა („ბურევესტნიკი“), მეშვიდეზე — ქ. გოგიავამ („სპარტაკი“), მერვეზე—ა. კობაიძემ („განთიადი“) და ა. შულმანმა („ბურევესტნიკი“) — 3 ქულა თვითეულს.

კლასიკური ჭიდაობა

დამთავრდა პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „შრ. რეზერვების“, „სპარტაკისა“ და „განთიადის“ გუნდები.

ყველაზე კარგად გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები, რომლებმაც დამსახურებულად დაიკავეს პირველი გუნდური ადგილი. „განთიადმა“ და „სპარტაკმა“ შეჯიბრება დაამთავრეს თანაბარი საჯარიმო ქულებით — 23, მაგრამ ვინაიდან, განთიადელებს აღმოაჩნდათ მეტი საპრიზო ადგილი ცალკეულ წონით კატეგორიებში, მეორე ადგილი მათ მიეკუთვნათ.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ოსიპენკო („ბურევესტნიკი“), ა. აგაჯანოვი („განთიადი“), ზ. თორაძე („სპარტაკი“), ზ. ქორიძე, ო. თარგამაძე, გ. ხაბულიანი (სამივე „ბურევესტნიკიდან“), ა. დათიაშვილი („დინამო“), რ. აბაშიძე („ბურევესტნიკი“).

სპარტაკიადას მოემსახურა გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის ქვეყანაში

1961 წელს პარიზში ძიუ-დოს მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიელმა ა. გეეზიკმა კარგად ჩაატარა შეხვედრები თავის მეტოქეებთან და დამაჯერებლად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. როგორც ცნობილია, ჭიდაობის ამ სახეობის ყველაზე აღიარებული ოსტატები არიან იაპონელები და ამიტომ ევროპელის გამარჯვება მოულოდნელი იყო.

ძიუ-დოს სამშობლოს წარმომადგენლები ამ ფიასკომ ძალზე დააფიქრა. ისინი ხომ მომავალ ოლიმპიადაზე ყველაზე დიდ იმედს ძიუ-დოში გამარჯვებაზე ამყარებენ. ამის შემდეგ იაპონელები თავიანთ სამშობლოში საბჭოთა მოჭიდავეებს შეხვდნენ და მათთვის კვლავ მოულოდნელი აღმოჩნდა შედეგები.

საბჭოთა და იაპონელ ძიუ-დოისტთა ოთხი მატჩი დამთავრდა იაპონელთა ორი გამარჯვებითა და ორი დამარცხებით. ამასთან დაკავშირებით იაპონიის სპორტული გაზეთი „ხოტი სიმბუნი“ წერდა, რომ „საბჭოთა მოჭიდავეებს ძალზე აგრესული და თავბრუდამხვევი სტილი აქვთ, ისინი იაპონელებს სჯობნიან გამძლეობასა და ძალაში“... იაპონელებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „იაპონელი ძიუდოისტები განიცდიან კრიზისს“, „საჭიროა უსწრაფესად ზომების მიღება“ და სხვ.

განსაკუთრებით მანიშნებელია იაპონელი სპორტული კომენტატორის კატსუნდო მიდცუნის აზრი: „იაპონელ ძიუ-დოისტებს ძალზე გაუჭირდათ, როცა ისინი ხვდებოდნენ სამბოს საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც იაპონიაში ძიუდოს ჭიდაობის წესების გასაცნობად იყვნენ ჩამოსული“. ბოლოს იგი დასძენს, რომ იაპონელებს მომავალ ოლიმპიადაზე საბჭოთა სამბისტების სახით ძალზე ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ.

სურათზე თქვენ ხედავთ საფრანგეთის კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. როგორც ცნობილია, ამას წინათ ჩატარებულ 3 ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრაში ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან ფრანგებმა 2 მოიგეს, ხოლო ერთში დამარცხება განიცადეს.

10 მაისს — რიო-დე-ჟანეიროში

როგორც ცნობილია, 10 მაისს, რიო-დე-ჟანეიროში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ყველა გუნდმა, გარდა მასპინძლებისა, უნდა ჩაატაროს წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში. უკვე მოხდა კენჭისყრა. საბჭოთა კალათბურთელები მოხვდნენ ქვეჯგუფში, სადაც მათთან ერთად ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ კანადის, ურუგვაისა და საფრანგეთის სპორტსმენები.

მეორე ქვეჯგუფში მოხვდნენ აშშ, იტალია, არგენტინა და მექსიკა, ხოლო მესამეში — პუერტო-რიკო, იუგოსლავია, პერუ და იაპონია. ქვეჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი ჩემპიონთა ტიტულისათვის ბრძოლას განაგრძობენ ფინალურ ჯგუფში.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ბრაზილიაში გაემგზავრება 3 მაისს. გუნდში შეყვანილი არიან: ვ. გლადუნი, ი. კალნინში, გ. მინაშვილი, ა. ტრავინი, ვ. ხრინინი, ვ. ზუბკოვი, ლ. ივანოვი, ა. ლეჟავა, ა. პეტროვი, გ. ვოლნოვი, ი. კორნეევი, ვ. უგრეხელიძე.

პორტიშის გამარჯვება

სარაევოში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 12 უძლიერესი გროსმაისტერისა და ოსტატის მონაწილეობით. საბჭოთა კავშირიდან ასპარეზობაში მონაწილეობდნენ გროსმაისტერი ვ. სიმაგინი და საერთაშორისო ოსტატი ლ. შამკოვიჩი.

პირველი ადგილი დაიკავა უნგრეთის ჩემპიონმა გროსმაისტერმა ლ. პორტიშმა, მან 11 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. მეორე-მეხუთე ადგილები გაიყვეს საერთაშორისო გროსმაისტერებმა ს. გლიგორიჩმა, ბ. ივკოვმა (ორივე იუგოსლავია), ვ. სიმაგინმა (სსრკ) და ვ. ულმანმა (გდრ).

ბრაზილია - საფრანგეთი

პირველი ორი წაგების შემდეგ, რომელიც ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა განიცადეს ევროპაში (პორტუგალიასთან — 0:1, ბელგიასთან — 1:5), მსოფლიო ჩემპიონმა თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა პარიზში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ.

ბრაზილიელებმა მოიპოვეს ძნელი გამარჯვება ანგარიშით 3:2.

რინგის ოსტატები და ევროპული ფორუმი

მაისის ბოლო რიცხვებში მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დაიწყება ევროპის XV პირველობის გათამაშება კრივში. ამ ტურნირისათვის გულმოდგინედ ემზადებიან სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები.

ევროპის პირველი პირველობა გაიმართა 1925 წელს სტოკჰოლმში. გაიმარჯვეს შვეციის მოკრივეებმა. მომდევნო ჩემპიონატების თარიღები, ჩატარების ადგილი და გამარჯვებული ქვეყნები ასე ნაწილდებიან: 1927 წ. ბერლინი — გერმანიის ნაკრები, 1934 წ. ბუდაპეშტი — უნგრეთის ნაკრები, 1937 წ. მილანი — იტალიის ნაკრები, 1939 წ. დუბლინი— პოლონეთის ნაკრები, 1947 წ. ლიუბლიანა — საფრანგეთის ნაკრები, 1949 წ. მილანი — იტალიის ნაკრები, 1953 წ. ვარშავა — პოლონეთის ნაკრები, 1955 წ. ბერლინი — გფრ-ს ნაკრები, 1957 წ. პრაღა — საბჭოთა კავშირის ნაკრები, 1959 წ. ლიუცერნი — პოლონეთის ნაკრები, 1961 წ. ბელგრადი — საბჭოთა კავშირის ნაკრები.

როგორც ხედავთ უნგრეთის, იტალიის, გერმანიის, პოლონეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მოკრივეები ორ-ორჯერ იყვნენ გამარჯვებულთა შორის ევროპის ჩემპიონატებზე. 14 ოფიციალურ პირველობაში 6-ჯერ პირველობა რინგის პატრონებმა მოიგეს. ასე მაგალითად, ბერლინში — გერმანელებმა ორჯერ, ბუდაპეშტში — უნგრელებმა ორჯერ, მილანში — იტალიელებმა ორჯერ, ვარშავაში — პოლონელებმა ორჯერ.

საბჭოთა მოკრივეები ევროპულ რინგზე პირველად 1953 წელს გამოვიდნენ და დაიკავეს მეორე ადგილი პოლონელთა შემდეგ. იგივე განმეორდა 1955 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მხოლოდ ერთი ქულით დაუთმო პირველობა გფრ-ს გუნდს. სამაგიეროდ პრაღის ჩემპიონატში ჩვენი ოსტატები იყვნენ პირველები. ამის შემდეგ ისინი სამართლიანად ითვლებიან ჩემპიონობის მუდმივ და მთავარ პრეტენდენტებად.

XV საიუბილეო ჩემპიონატი მონაწილეთა რაოდენობით, როგორც ამბობენ, სარეკორდო იქნება. ძლიერი იქნება იგი შემადგენლობითაც, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლა უაღრესად მწვავე და საინტერესო ფორმებს მიიღებს. რომელი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას ტურნირში, ზუსტად ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ ბევრი მათგანის გამოსვლა მოსკოვის რინგზე გარანტირებულია. ასეთთა რიცხვში არიან: ინგლისი, იტალია, გფრ, საფრანგეთი, უნგრეთი, პოლონეთი, გდრ, რუმინეთი, ბულგარეთი, ფინეთი და რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი.

ქვემოდ მოგვყავს ევროპის ჩემპიონთა სია 1953 წლიდან, მას შემდეგ, რაც ტურნირში მონაწილეობის მიღება დაიწყეს საბჭოთა მოკრივეებმა.

1953 წ. გ. კუკერი, ზ. სტეფანიუკი, ზ. კრუცა (პოლონეთი), ვ. ენგიბარიანი (სსრკ), ლ. დროგოში, ზ. ხიხლა (პოლონეთი), ბ. უელსი (ინგლისი), დ. ვემხონერი (გფრ), უ. ნიტცშე (გდრ), ა. შოციკასი (სსრკ). გუნდური — 1. პოლონეთი, 2. სსრკ. 3. გფრ.

1955 წ. ე. ბაზელი (გფრ), ზ. სტეფანიუკი (პოლონეთი), ტ. ნიკოლსი (ინგლისი), გ. კურშატი (გფრ), ლ. დროგოში (პოლონეთი), ნ. გარგანო (ინგლისი), ზ. პეტშიკოვსკი (პოლონეთი), გ. შატკოვი (სსრკ), ე. შეპნერი (გფრ), ა. შოციკასი (სსრკ). გუნდური — 1. გფრ, 2. სსრკ. 3. პოლონეთი.

1957 წ. მ. ხომბერგი (გფრ), ო. გრიგორიევი (სსრკ), დ. ველინოვი (ბულგარეთი), კ. პოზდზიორი (პოლონეთი), ვ. ენგიბარიანი (სსრკ), გ. ბენვენუტი (იტალია), მ. გრაუსი (გფრ), ზ. პეტშიკოვსკი (პოლონეთი), გ. ნეგრია (რუმინეთი), ა. აბრამოვი (სსრკ). გუნდური — 1. სსრკ, 2. პოლონეთი, 3. გფრ.

1959 წ. მ. ხომბერგი, ხ. რაშერი (გფრ), ი. ადამსკი (პოლონეთი), ო. მიაკი (ფინეთი), ვ. ენგიბარიანი (სსრკ), ლ. დროგოში (პოლონეთი), დ. ბენვენუტი (იტალია), გ. შატკოვი (სსრკ), ზ. პეტშიკოვსკი (პოლონეთი), ა. აბრამოვი (სსრკ). გუნდური — 1. პოლონეთი, 2. სსრკ, 3. იტალია.

1961 წ. პ. ვაკა (იტალია), ს. სივკო (სსრკ), ფ. ტეილორი (ინგლისი), დ. მაკტაგარტი (შოტლანდია), ა. ტუმინში, რ. ტამულისი, ბ. ლაგუტინი (სსრკ), ტ. ვალასეკი (პოლონეთი), გ. სარაუდი (იტალია), ა. აბრამოვი (სსრკ). გუნდური — 1. სსრკ, 2. იტალია, 3. პოლონეთი.

ეს ჭაბუკი სპორტის მოყვარულებმა ცენტრალურ საჭიდაო დარბაზში გაიცნეს. 1963 წლის თბილისის ჩემპიონატის (ჭაბუკთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში) მონაწილემ მ. ჩიბურდანიძემ საყოველთაო მოწონება და სიმპათიები დაიმსახურა ლამაზი, აგრესული და ტემპიანი ბრძოლისათვის. მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის მ. ჩიბურდანიძემ პირველი ადგილი დაიკავა ისე, რომ არ წაუგია არც ერთი შეხვედრა.

აი რა გვიამბო ახალგაზრდა მოჭიდავის შესახებ საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. ჩხარტიშვილმა:

— მურმანმა საჭიდაო სექციის კარები 15 წლის ასაკში შემოაღო. ეს იყო 1960 წელს. ჭაბუკი მაშინ 80 კილოგრამს იწონიდა. მურმანი ინტერესით და დიდი გულისყურით მოეკიდა წვრთნას და სულ მალე წარმატებასაც მიაღწია. დღეს 98-კილოგრამიანი გრუზა ჭაბუკი სრულებით არ ჰგავს იმ გაუბედავ ბიჭუნას, რომელიც 3 წლის წინ გავიცანით.

ამჟამად მურმანი დიდ სამზადისშია. ივლისში ერევანში გაიმართება საბჭოთა კავშირის 1963 წლის პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც სხვებთან ერთად რესპუბლიკის ღირსებას მურმან ჩიბურდანიძეც დაიცავს. ჭაბუკს გადაწყვეტილი აქვს არ გააწბილოს ახლობელთა იმედები და გამარჯვებული დაუბრუნდეს მშობლიურ თბილისს.

სურათზე თქვენ ხედავთ მ. ჩიბურდანიძეს (მარჯვნივ) ბრძოლის დროს.

ფოტო და ტექსტი
ე. ქელბაქიანისა.

რედაქციას!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ პირთ და ორგანიზაციებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემი დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს ჩატარებაში.

ლ. ვ. გოლოვნია,
დოცენტი, სსრკ სპორტის
დამსახურებული ოსტატი.

რედაქტორი ი. უზულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07884